

ოთარ ჭილაძის გზაზე ერთი კაცი მიდიოდა და ტონი მორისონის  
საყვარელი -შედარებითი ანალიზი

ნანა გოგოლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე  
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა გოგოლაძე

06.07.2015

## აბსტრაქტი

მეოცე საუკუნე მთელ მსოფლიოში რთული პოლიტიკური და სოციალური პრობლემებით აღინიშნა. განსაკუთრებით კი ეს პრობლემები შეეხო კოლონიზებულ სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოს. თანდათან ხდებოდა კულტურული ზღვარის წაშლა კოლონიზატორსა და კოლონიას შორის. საზოგადოების მამოძრავებელ ძალას კი ლიტერატურა წარმოადგენს, რომელმაც თავის თავზე აიღო საზოგადოების გამოფხიზლება და ეროვნული ცნობიერების გავრცობა, რასაც ლიტერატურაში წარსულის გაცოცხლება მოჰყვა. 1970-1980-იანი წლების ახალმა ისტორიულმა რომანმა მთავარ ობიექტად აიღო არა მშრალი ისტორიული ფაქტები და ომები, არამედ კონკრეტული ადამიანები თავიანთი ვნებათაღელვით და სულიერი დრამატიზმით, რაც განპირობებული იყო წარსული ტრავმული მეხსიერებით.

ნაშრომის მიზანია, კოლონიალიზმის ეპოქაში შექმნილი ნაწარმოების, კერძოდ ოთარ ჭილაძის რომანის *გზაზე ერთი კაცი მიდიოდა* ანალიზი პოსტკოლონიურ ჭრილში, რომელშიც წარმოჩენილი იქნება ტრავმული მეხსიერების გადამუშავების პროცესი. ამისათვის ავტორი იყენებს მაგიური რეალიზმის ელემენტებს. კოლონიალიზმის მანკიერი ბუნების ჩვენებაა ამერიკელი ავტორის, ტონი მორისონის მიზანი რომანში *საყვარელი*, რომელშიც მთელი სიცხადით გამოვლინდა კოლონიალიზმის გავლენა კოლონიზებულ ინდივიდსა და სოციუმზე.

შედარებითი ანალიზისა და პოსტკოლონიური ანალიზის მეთოდის გამოყენებით კვლევაში ნაჩვენები იქნება, თუ როგორ მოქმედებს ისტორიული კონტექსტი და ტრავმული მეხსიერება ინდივიდსა და სოციუმზე და როგორ ახდენს მწერალი ამ პრობლემის რეპრეზენტაციას. თემა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ დღემდე სრულად არ მომხდარა წარსულის ტრავმული კვალის გაცნობიერება. ამიტომაც კვლავაც აქტუალური კოლონიალიზმის ეპოქის პრობლემების ანალიზი პოსტკოლონიური მიდგომებით.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კოლონიზაცია, ტრავმული მეხსიერება, მაგიური რეალიზმი, დაქვემდებარება.

## Abstract

In world history the 20<sup>th</sup> century is marked with dramatic political and social processes, which most harshly affected colonized countries, including Georgia. While the cultural boundaries between the colonizer and colonized was being erased under the pressure of dominant discourse, literature started to play an important social role, awakening the society, bringing back the stories from the past, and widening the area of influence of national discourse.

In 1970s-1980s the new forms of reflection to historical memories were developed, through which not historical events and wars, but dramatic and traumatic stories of concrete individuals were recalled and represented in novels.

The goal of this research is to analyze the novel by the famous Georgian writer Otar Chiladze *A Man Was Going Down the Road* using postcolonial theoretical approaches, in order to show the power of traumatic memories from the colonial past, and the process of rethinking them in postcolonial reality. Another text to be analyzed is the novel by the famous Afro-American writer Toni Morrison *Beloved*, which represents the evil nature of colonialism, and its dramatic power upon an individual and a society.

Through using comparative and postcolonial theoretical approaches we analyze the influence of historical context and traumatic memories upon an individual and society, as well as the forms of representation of this influence in works by influential writers. The research is topical, since the process of representation of colonial traumas is not complete yet in Georgian society, and postcolonial theory can be adaptable to these needs.

**Key Words:** Colonization, Traumatic memory, Magical Realism, Subaltern.

## მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ბელა წიფურიას. კვლევის პროცესში მისი კრიტიკული მოსაზრებები და რჩევები გახდა საფუძველი იმ მიგნებებისა, რომლის გარეშეც ნაშრომი ვერ შეიქმნებოდა. ასევე მადლობას ვუხდით ჩემს მეუღლეს ვეფხვია ნაცვლიშვილს, რომელიც დამეხმარა უცხოენოვანი ტექსტების თარგმნაში.